

„ვამტკიცებ“

„შეთანხმებულია“

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
(ხელმოწერა და ბეჭედი)

შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის
უფროსი
სამოქალაქო უსაფრთხოების გენერალ-მაიორი
თეიმურაზ მღებრიშვილი

„00" მარტი 2025 წ.

„-----" ----- 2025 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმა

შემუშავებულია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის საგანგებო შტაბის წევრების მიერ და დამტკიცებულია უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 24 თებერვლის N-00 ბრძანებით საქართველოს
მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო
უსაფრთხოების ეროვნული გეგმის შესაბამისად“.

თბილისი

2025

საგანგებო მართვის გეგმა

I თავი

შესავალი

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (შემდგომში - გეგმა) შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად და წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) საქმიანობის საფუძველს. იგი, ამავდროულად, არის „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ განხორციელების მხარდაჭერის სამოქმედო დოკუმენტი და უზრუნველყოფს, შესაძლო საგანგებო სიტუაციაზე, პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას.

გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს. ასევე, დასაქმებულების, მატერიალური ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას.

1.1 სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

ორგანიზაცია მოქმედებს დანართი N2-ში წარმოდგენილი ნორმატიული აქტების შესაბამისად. ამავე დროს, იგი უფლებას იტოვებს, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით დადოს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

1.2 გეგმის მიზანი

გეგმის მიზანია:

- ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული საგანგებო სიტუაციებისაგან თანამშრომელთა, სტუდენტთა და უნივერსიტეტში მყოფ პირთა დაცვის საერთო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების წარმართვა;
- თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების მიტიგაციის, მათზე მზადყოფნის, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებების შემუშავება და ორგანიზება;
- მომხდარ საგანგებო სიტუაციაზე ორგანიზაციის დროული, კოორდინირებული და ორგანიზებული რეაგირების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი იურიდიული საფუძვლის შექმნა;
- შესაძლო საგანგებო სიტუაციის პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის რესურსების განსაზღვრა.

1.3 უნივერსიტეტის განთავსების ტერიტორიის, შენობის აღწერა და ზოგადი მონაცემები

1.3.1 საგანგებო მართვის გეგმის ამოქმედებაზე და მასზე ოპერატიულ წვდომაზე პასუხისმგებელია: **ადმინისტრაციის ხელმძღვანელი**

მისამართები

თსუ პროფესიული გაანთლების ცენტრის ქუთაისის ლოკაცია:

ქ. ქუთაისი ქუჩა ნიკეას მე-2 შესახვევი N8;

ტელ: (+995 32) 2 25 04 84

1.3.2 თანამშრომლებისა და სტუდენტების რაოდენობა:

ქუთაისი

თანამშრომელი - 23

მოწვეული მასწავლებლის საორიენტაციო რაოდენობა - 51

სტუდენტი - 263

1.3.3. შენობის ტიპი და მისი არქიტექტურულ-კონსტრუქციული აღწერა.

უნივერსიტეტის მისამართი: თსუ პროფესიული გაანთლების ცენტრის ქუთაისის ლოკაცია:

ქ. ქუთაისი ქუჩა ნიკეას მე-2 შესახვევი N8;

საკადასტრო კოდი:

ქუთაისი - 03.05.02.452

საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548

ტელ: (+995 32) 2 25 04 84

ვებ გვერდი: tsu.ge

ელ. ფოსტა: chancellery@tsu.ge, cve@tsu.ge

თსუ პროფესიული გაანთლების ცენტრის ქუთაისის ლოკაცია სადაც მიმდინარეობს სასწავლო საგანმანათლებლო საქმიანობა. ინფრასტრუქტურა მოიცავს ერთ ძირითად 4 სართულიან სასწავლო კორპუსს და დამხმარე ნაგებობას (რომელიც არ ფუქციონირებს). შენობა აგებულია კომუნისტების დროს არსებული სამშენებლო სტანდარტებით (ღრუტანიანი ფილების გადახურვა სართულებს შორის, ბლოკის კედლები, სახურავი პრტყელი რომლიც არის ბეტონის და გადაკრულია ტოლი. შენობის რეაბილიტაციისას გამოყენებულია გიფსო კარდონის მასალა ზოგიერთ კედელზე, პირველი სართლის დერეფნებში დამონტაჟებულია შეკიდული ჭერიხოლო დანარჩენ ადგილზე ჭერი არის ბედნის. მთელს შენობაში დამონტაჟებულია გარე გაყვანილობა. აუდიტორიებში და კაბინეტებში დაგებულია ლამინატის იატაკი. შენობა აღჭურვილია გათბობის

ცენტრალიზებული სისტემით, საპირფარეშოებში მუშაობს სავენტილაციო სისტემა, ფანჯრები არის მეტალოპლასმასის.

საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება მხოლოდ პირველ და მე-2 სართულებზე. მე-3 და მე-4 სართულები სარემონტოა. ასევე სასწავლო კორპუსში არის ბიბლიოთეკა, სტუდენტური სივრცეები და სახელოსნო, შენობის შიდა ეოში დგას დამხმარე ნაგებობები რომელიც არ ფუნქციონირებს და მისი ყველა შესასვლელი დალუქულია.

შენობის ორ სართულზე განთავსებულია აუდიტორიები, სამუშაო კაბინეტები და სტუდენტური სივრცე. საერთო ფართი- 3856,6კვ.მ., I სართული 967,7 კვ.მ. II სართული 962,7 კვ.მ. III სართული 962,7 კვ.მ, IV სართული 963,5 კვ.მ.

შენობა აღჭურვილია გათბობის ცენტრალიზებული სისტემით, და უზრუნველყოფილია, გაზის, წყლის და ელექტროენერგიის მიწოდება.

შენობის ტერიტორიაზე განთავსებულია ერთი საქვაბე ნაგებობა.

სასწავლო კორპუსის შიდა მიწის ნაკვეთი ხასიათდება სწორი რელიეფით, რომელიც დაფარულია ასვალტის საფარით, ეზოში იზრდება მრავალწლიანი ფოთლოვანი და წიწვოვანი ხეები.

უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიის აღწერა

სასწავლო კორპუსს ცენტრალური შესასვლელიდან ესაზღვრება მცირე სკვერი, სამანქანა გზა და საცხოვრებელი კორპუსები, შენობის უკანა მხარეს არის შიდა ეზო და დამხმარე ნაგებობა რომელიც არ ფუნქციონირებს ხოლო შენობის გარშემო განთავსებულია საცხოვრებელი კორპუსები.

1.4 საგანგებო შტაბი და მისი წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. საგანგებო შტაბის უფროსი არის: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფინანსურ-მატერიალური რესურსებისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, კორპუსების კომენდანტები, ექთანი, დაცვის თანამშრომლები, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი - საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი პირები, რომლებიც გეგმის შესაბამისად კოორდინაციას უწევენ რეაგირების ძალებსა და საშუალებებს.

საგანგებო შტაბი ახორციელებს:

- რეაგირების ჯგუფებისთვის მითითებების გაცემა და მათ კოორდინაციას;
- ზემდგომი უწყების მიერ განსაზღვრული დარგობრივი პოლიტიკის განხორციელებას, შესაბამისი რეკომენდაციის შემუშავებასა და ადრესატებამდე მიწოდებას;
- სამოქმედო ამოცანების დასახვას და გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადებას;

- მხარდამჭერი ორგანიზაციების ტექნიკურ ექსპერტებთან თანამშრომლობას;
- მოკვლევით და მონიტორინგის შედეგების მონაცემთა ბაზის წარმოებას;
- ფინანსური და მატერიალური რესურსების რეზერვების შექმნის ორგანიზებას.

თსუ პროფესიული გაანთლების ცენტრის ქუთაისის ლოკაციის

საგანგებო შტაბის წევრების ფუნქციონალური მოვალეობები

N	საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	ყოველდღიური საქმიანობის რეჟიმში თანამდებობა, რომელთანაც შეთავსებულია საგანგებო შტაბის წევრის პოზიცია	საგანგებო შტაბის წევრის ფუნქციის აღწერის დანართი
1	საგანგებო შტაბის უფროსი	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	დანართი 3 პუნქტი №1
2	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილეები ევაკუაციის საკითხებში	პროფესიული პროგრამების და პროფესიული მომზადება გადაზამდების პროგრამების მენეჯერი სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი	დანართი 3 პუნქტი №2
3	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ხაზით	საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სპეციალისტი	დანართი 3 პუნქტი №3
4	საგანგებო შტაბის წევრი - სახანძრო - სამაშველო ჯგუფის უფროსი	ინსპექტორი (დაცვის თანამშრომელი)	დანართი 3 პუნქტი №4
5	საგანგებო შტაბის წევრი - სამედიცინო რეაგირების ჯგუფის უფროსი	მედადა	დანართი 3 პუნქტი №5
6	საგანგებო შტაბის წევრი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში	მატერიალური რესურსების მართვის მენეჯერი	დანართი 3 პუნქტი №6

7	საგანგებო შტაბის წევრი - საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის უფროსი	მთავარი სპეციალისტი (II კატეგორია)	დანართი 3 პუნქტი №7
---	---	------------------------------------	---------------------

1.5 არსებული ადრეული გაფრთხილების სისტემის აღწერა.

ადრეული გაფრთხილების სისტემას წარმოადგენს სახანძრო განგაშის დილაკები და თანამშრომლების შეტყობინება სირენის, რუპორისა და ხმის გამამდიერებლის მეშვეობით, ამასთან, შტაბის წევრების შეტყობინება ხდება მობილური ტელეფონის საშუალებით.

1.6 სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები. (იხ. დანართი 9)

1.7 რეაგირების ჯგუფის შემადგენლობა წარმოდგენილია (დანართი №10)

1.8 შენობიდან ევაკუაციის გეგმა-წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე (მოცემულია დანართი N11-ში).

II თავი

საფრთხეების და რისკების შეფასება და აღწერა.

საფრთხეებისა და რისკების შეფასება განხორციელდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული “2015-2018 წწ. საფრთხეების შეფასების ეროვნული დოკუმენტის” (ნოემბერი 2015) საფუძველზე და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის ბრძანება №01-15/ნ „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის შესაბამისად;

2.1 მოსალოდნელი საფრთხეების ზოგადი აღწერა:

ქ. ქუთაისის თავისებურებებიდან გამომდინარე, არსებობს შემდეგი ძირითადი საფრთხეები

- ხანძარი
- ძლიერი წვიმა ქარიშხალით
- მიწისძვრა

საფრთხე ხანძარი: სასწავლო კორპუსებში (ქუთაისი) ელექტრო გაყვანილობა უმეტესწილად დამონტაჟებულია გარე გაყვანილობის სახით და მოწესრიგებულია, ელექტროობასთან დაკავშირებულ სამუშაოებს ახორციელებენ კვალიფიციური ელექტრიკოსები, თუმცა გარკვეულ აუდიტორიებში და სამუშაო კაბინეტებში მაინც რჩება ძველი გაყვანილობის კაბელები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ადამიანური გაუფრთხილებლობით შესაძლოა მაინც არსებობდეს ხანძრის გაჩენის რისკი.

საფრთხე ძლიერი წვიმა ქარიშხალით: ქ. ქუთაისში ბოლო 10 წლის განმავლობაში მოხდა რამდენიმე ძლიერი წვიმა ქარიშხალი, რამაც მატერიალური ზიანი მიაყენა სხვადასხვა შენობა-ნაგებობებს, გამომდინარე აქედან არის ძლიერი წვიმა ქარიშხალით არსებითი რისკი.

საფრთხე მიწისძვრა: ქ. ქუთაისი უფრო მეტად არის მიწისძვრების ეპიცენტრი რაც გარკვეულწილად მიწისძვრის შედეგად მიყენებული ზიანის რისკებს ზრდის.

2.2 რისკის შეფასების დრო: 25.02.2025 წელი

2.3 რისკის შეფასების მეთოდოლოგია: სტატისტიკურ-ალბათური, რომელიც ეფუძნება ისტორიულ ანალიზის და ზოგადად რისკის ხარისხობრივ შეფასებას. რისკის შემცირების ჯგუფის მიერ 10-10 ქულიანი სისტემებით შეფასებული იქნა ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე მომხდარი საგანგებო სიტუაციები და შეფასებისას გათვალისწინებული იყო ამ მოვლენების მოხდენის ალბათობები და ზეგავლენა.

2.4 რისკის შეფასების შედეგები:

რისკის შეფასების ღონისძიების შედეგად არსებული საფრთხეებიდან

გამოვლინდა შემდეგი რისკები:

N	საფრთხე	ალბათობა	ზეგავლენა	რისკის მახასიათებელი ქულა
1	ხანძარი	6	7	N 1 – 42
2	ძლიერი წვიმა ქარიშხალით	5	5	N 3 – 25
3	მიწისძვრა	4	5	N 4 - 20

რისკი N1 აღწერა: ხანძრის შედეგად მოხდება შენობის ცალკეული ნაწილების ან სრულად დაკვამლიანება და ცეცხლის კერის არეში ინვენტარისა და ცალკეული კონსტრუქციების აალება.

რისკი N2 აღწერა: ძლიერი წვიმა ქარიშხალის დროს ზიანდება შენობის სახურავი, ასევე შესაძლოა მოხდეს ეზოში არსებული ხეების ტოტების მოტეხვა და ფანჯრის მინების ჩამსხვრევა.

რისკი N3 აღწერა: ხშირი ბიძგების შედეგად ზიანდება შენობის ფასადი და შიდა კედლების მოპირკეთება, ძლიერი მიწისძვრის შემთხვევაში, შესაძლებელია ვიტრაჟების დაზიანება.

2.5 საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის აღწერა:

გამოვლენილი რისკების საფუძველზე შემუშავდა თსუ პროფესიული განათლების ცენტრის (ქუთაისი) და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების სავარაუდო განვითარების შემდეგი სცენარები:

სცენარი N1 რისკის მიხედვით: შენობაში ხანძარი შესაძლოა გავრცელდეს, ძირითადად მხოლოდ შენობის კონკრეტულ ნაწილში, არსებული ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა დიდი ალბათობით შეაფერხებს ხანძრის გავრცელების სისწრაფეს. გასასვლელებისა და სახანძრო კიბეების სიმრავლე, მათ შორის შენობის განლაგებისა და ზომის გათვალისწინებით, ადამიანის ევაკუაცია სწრაფად არის შესაძლებელი. თუმცა, ხანძარმა შესაძლოა დააზიანოს ელექტრო-სისტემა, ავეჯი და კომპიუტერული ტექნიკა.

სცენარი N2 რისკის მიხედვით: ძლიერი წვიმამ ქარიშხალით შესაძლოა გამოიწვიოს სახურავის დაზიანება, შენობის შიგნით წყლის ჩამოჟონვა, ფანჯრების ჩამსხვრევა, ასევე შესაძლოა დააზიანოს გარე ტერიტორია, ენერგო და ინტერნეტ კომუნიკაციის ხაზები.

სცენარი N3 რისკის მიხედვით: მიწისძვრამ შეიძლება გამოიწვიოს არსებული შენობა-ნაგებობების ნგრევა, კომუნალურ, ენერგეტიკული ქსელის მწყობრიდან გამოსვლა კავშირგაბმულობის და კომუნიკაციის სისტემის მოშლა და ხანძრის წარმოქმნა.

III თავი

გასატარებელი ღონისძიებების აღწერა საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მიხედვით.

პრევენციის უმთავრესი მიზანია საგანგებო სიტუაციებში სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება;

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა.

3.1 ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია:

3.1.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N1 რისკის მიხედვით:

ხანძარი:

- ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/ დახვეწა;
- სახანძრო უსაფრთხოებაზე გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი;
- შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები;
- შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცხელი ხაზის 112 ნომერი;
- დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები (ვადების კონტროლით);
- თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით;
- ელექტრო-წერტილების, ელექტრო-გამანაწილებელი კარადების, ელექტრო-სადენების, ელექტრო ტექნიკის პერიოდული მონიტორინგი და გადამოწმება;
- ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებისა (ცეცხლსაქრობის) და სისტემების (სახანძრო სიგნალიზაციისა და მაუწყებლობის სისტემის, სახანძრო ავზის) შემოწმება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი 4.1**)

3.1.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N2 რისკის მიხედვით:

ძლიერი წვიმა ქარიშხალით:

- ძლიერი წვიმა ქარიშხალის დროს მოქმედებების დროს ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა;
- პერიოდულად ხორციელდება სახურავის ტექნიკური რევიზია;
- შენობაში თავის შეფარების უსაფრთხო ადგილის წინასწარი შესწავლა-შერჩევა;
- შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხო ადგილები განისაზღვრა;
- ეზოს ტერიტორიაზე გამხმარი ხეების ან ტოტების მოჭრა;
- კარ-ფანჯრისა და ჭალუხების მდგრადობის უზრუნველყოფა;
- შენობაზე განთავსებული აბრების ან ბანერების რევიზია-გამაგრება.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი 4.2**)

3.1.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N3 რისკის მიხედვით:

მიწისძვრა:

- მიწისძვრისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა;
- შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე განისაზღვრა უსაფრთხო ადგილები;
- შენობის კონსტრუქციისა და არსებული ფართობების ტექნიკური დათვალიერება - შემოწმება;
- შენობის გარე და შიდა ფასადზე განთავსებული აბრების და ბანერების მყარად დამაგრება;
- კედელზე დაფიქსირებული თაროების დამაგრება და კარადების იატაკზე მყარად განთავსება;

- დაუმაგრებელი ავეჯის გამოვლენა და მათი ფიქსაცია;
(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი 4.3**)

3.2 ფაზა II: მზადყოფნა

უნივერსიტეტის საგანგებო შტაბი იხილავს პერსონალის უსაფრთხოების საკითხებს, მოიძიებს და აზუსტებს სათანადო სამოქმედო და დროებითი თავშესაფრისათვის უსაფრთხო ადგილებს, განაახლებს პერსონალის სპეციალური გეგმას და შეიმუშავებს ხელმძღვანელების არყოფნის შემთხვევაში მათი სხვა კადრებით ჩანაცვლების პროცედურებს.

მზადყოფნის უზრუნველყოფისა და საგანგებო სიტუაციაზე დროული და ეფექტური რეაგირებისათვის ორგანიზება უკეთდება თეორიულ სწავლებებსა და სიმულაციურ ვარჯიშებს.

მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას. ამ მიზნით იქმნება და პერიოდულად განახლდება მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების შესახებ მონაცემთა ბაზის საფუძველზეც ორგანიზება უკეთდება საგანგებო მართვის გეგმების სრულყოფასა და განვითარებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, გეგმის მზადყოფნის ღონისძიებები ითვალისწინებს, როგორც მათ ინფორმირებას, ისე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებისათვის სწავლების უზრუნველყოფას მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით.

3.2.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით:

ხანძარი:

- თანამშრომლებისა და სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგების და სწავლებების პერიოდული ჩატარება ხანძართან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე;
- შტაბის წევრებისათვის სპეციალური ტრენინგების/ინსტრუქტაჟების ჩატარება;
- შეტყობინების და მაუწყებლობის სისტემების მზადყოფნის შემოწმება;
- სახანძრო-სამაშველო ჯგუფისათვის ხანძართან ბრძოლის და პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგების/ინსტრუქტაჟების ჩატარება;
- სახანძრო სისტემების ტექნიკური გამართულობის შემოწმება;
- ხანძრის ქრობისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების პრაქტიკული გამოყენების ვარჯიშის ჩატარება;
- სახანძრო სფეროში პერსონალისთვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ერთად ხანძრის ქრობის იმიტირებული კომპლექსური სწავლებების ჩატარება.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ **დანართი 5.1**)

3.2.2 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N2 სცენარის მიხედვით:

ძლიერი წვიმა ქარიშხალით:

- თანამშრომლებში ცნობიერების ასამაღლებლად ტრენინგების და სწავლებების ჩატარება ძლიერი წვიმა ქარიშხალთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე;

- შეტყობინების და მაუწყებლობის სისტემების მზადყოფნის შემოწმება;
- გარე ფასადზე განთავსებული აზრების და ბანერების მდგრადობის გადამოწმება;
- ძლიერი წვიმა ქარიშხალისგან დასაცავად შენობაში უსაფრთხო ადგილის შერჩევა და მზადყოფნაში მოყვანა;
- შენობაში შერჩეული უსაფრთხო ადგილების და მარშრუტების გადამოწმება (ჩახერგილების თავიდან აცილების მიზნით);
- ძლიერი წვიმა ქარიშხალის შედეგების თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების და სამუშაოების ჩატარება.

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ **დანართი 5.2**)

3.2.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N3 სცენარის მიხედვით:

მიწისძვრა:

- თანამშრომლებისა და ბავშვებისთვის ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგების და სწავლებების პერიოდული ჩატარება მიწისძვრასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების საკითხებზე;
- საევაკუაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული იმიტირებული სწავლება;
- შეტყობინების და მაუწყებლობის სისტემების მზადყოფნის შემოწმება;
- საევაკუაციო გეგმების შესაბამისობის გადახედვა;
- სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობის ვარგისიანობის შეფასება და სრულყოფა-განახლება;
- შენობაში შერჩეული უსაფრთხო ადგილების და მარშრუტების გადამოწმება (ჩახერგვის თავიდან აცილების მიზნით);

(დეტალური ღონისძიებები იხილეთ **დანართი 5.3**)

3.3 ფაზა III. რეაგირება:

შენობიდან ევაკუაციის გეგმა - წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე, მისი ასლი თან ერთვის გეგმას, ორგანიზაციაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფები.

3.3.1 გასატარებელი ღონისძიებების აღწერილობა N1 რისკის მიხედვით:

ხანძარი:

ხანძრის გაჩენის შემთხვევაში უნდა მოხდეს შეტყობინების და საფრთხის მაუწყებლობის სისტემების მოქმედებაში მოყვანა. საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში დაუყონებლივ აცნობებს ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს მართვის სამსახურს - **112**, შემდეგ აცნობებს საევაკუაციო ჯგუფის წევრებს და კოორდინირებულად დაიწყება შენობიდან ადამიანების და მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით - მოხდება პერსონალისა და --- უსაფრთხო ევაკუაცია საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო ზონაში.

ასევე განხორციელდეს:

- საჭიროების შემთხვევაში შენობაში ელექტრო-კვების, გაზომომარაგების და წყლის მიწოდების შეწყვეტა;
- ნგრევის ან სხვა დაზიანებით გამოწვეული საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს ევაკუაციის პროცესი;

- სახანძრო-სამაშველო სამსახურს მოსვლისთანავე მიეწოდოს სრული ინფორმაცია ადგილზე შექმნილი ვითარების და ადამიანების ევაკუაციის მიმდინარეობის შესახებ, შემდგომში მათთან ერთად კოორდინირებული მოქმედება;
 - სათანადოდ გადამზადებული პერსონალის მიერ ხანძრის ლიკვიდაცია არსებული ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მეშვეობით;
 - დაზარალებული ადამიანებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- (დეტალური ღონისძიებები იხილეთ **დანართი 6.1**)

3.3.2. გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N2 სცენარის მიხედვით:

ძლიერი წვიმა ქარიშხალით:

საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში დაუყონებლივ აცნობებს ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს მართვის სამსახურს - **112**. უნდა მოხდეს შეტყობინების სისტემების მოქმედებაში მოყვანა. შემდეგ აცნობებს ფაქტის შესახებ საევაკუაციო ჯგუფის წევრებს და შენობის დატბორვის შემთხვევაში კოორდინირებულად დაიწყება შენობიდან ადამიანების და მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით - მოხდება პერსონალისა და მოსწავლეების უსაფრთხო ევაკუაცია საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით ზედა სართულებზე ასვლა ან საჭიროების შემთხვევაში ევაკუაცია უსაფრთხო ადგილზე.

ასევე განხორციელდეს:

- საჭიროების შემთხვევაში შენობაში ელექტრო-კვების, გაზომარაგების და წყლის მიწოდების შეწყვეტა;
 - ჩახერგილი საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს ევაკუაციის პროცესი;
 - შენობიდან წინასწარ განსაზღვრული ევაკუაციის მარშრუტებით ადამიანების გაყვანა უსაფრთხო ადგილამდე;
 - სახანძრო-სამაშველო სამსახურის მოსვლისთანავე მიეწოდოს სრული ინფორმაცია ადგილზე ვითარების და ადამიანების ევაკუაციის მიმდინარეობის შესახებ, შემდგომში მათთან ერთად კოორდინირებული მოქმედება;
 - დაზარალებული ადამიანებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- (დეტალური ღონისძიებები იხილეთ **დანართი 6.2**)

3.3.3 გასატარებელი ღონისძიებების აღწერა N3 სცენარის მიხედვით:

მიწისძვრა:

მიწისძვრის ბიძგების დროს შენობის შიგნით ადამიანები განლაგდებიან უსაფრთხო ადგილებში. საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში დაუყონებლივ აცნობებს მომხდარი ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციებს მართვის სამსახურს - **112**. შემდეგ აცნობებს საევაკუაციო ჯგუფის წევრებს და ბიძგების დასრულების შემდეგ კოორდინირებულად დაიწყება შენობიდან ადამიანების და მატერიალური ფასეულობების ევაკუაცია წინასწარ შემუშავებული საევაკუაციო გეგმის მიხედვით.

ასევე განხორციელდეს:

- საჭიროების შემთხვევაში შენობაში ელექტრო-კვების, გაზომარაგების და წყლის მიწოდების შეწყვეტა;
- პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხო ევაკუაცია წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო ზონაში, საევაკუაციო გასასვლელების მიხედვით;

- პარალელურად მოხდება ნგრევის ან სხვა დაზიანებით გამოწვეული საევაკუაციო გასასვლელების გასუფთავება, რათა არ შეფერხდეს საევაკუაციო პროცესი;
 - სახანძრო-სამაშველო სამსახურს მისვლისთანავე მიეწოდოს სრული ინფორმაცია ადგილზე შექმნილი ვითარების და ადამიანების ევაკუაციის მიმდინარეობის შესახებ, შემდგომში მათთან ერთად კოორდინირებული მოქმედება;
 - დაზარალებული ადამიანებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
 - განხორციელდება სახიფათო ზონების იზოლირება.
- (დეტალური ღონისძიებები იხილეთ **დანართი 6.3**)

3.4 ფაზა IV. აღდგენა:

3.4.1 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა N1 სცენარის მიხედვით:

ხანძარი:

ხანძრის მასშტაბიდან გამომდინარე უნდა მოხდეს:

- შენობაში ოთახების დალაგება-დასუფთავება, შენობიდან დაზიანებული მატერიალური ფასეულობების გამოტანა და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება;
- დაზიანებული ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მაგისტრალური კომუნიკაციების აღდგენა-შემოწმება შესაბამის კომუნალურ სამსახურებთან ერთად;
- შენობის ვარგისიანობის შემოწმება შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებთან ერთად;
- დაზიანებული შენობის და ასევე სხვა ტიპის ზარალის აღრიცხვა/შეფასება.

(ღონისძიებების დეტალური ღონისძიებები იხილეთ **დანართი 7.1**)

3.4.2 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა N2 სცენარის მიხედვით:

ძლიერი წვიმა ქარიშხალით:

მასშტაბიდან გამომდინარე უნდა მოხდეს:

- შენობაში ოთახების დალაგება-დასუფთავება, შენობიდან დაზიანებული მატერიალური ფასეულობების გამოტანა და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება;
- დაზიანებული ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მაგისტრალური კომუნიკაციების აღდგენა-შემოწმება შესაბამის კომუნალურ სამსახურებთან ერთად.

(ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 7.2**)

3.4.3 ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერა N3 სცენარის მიხედვით:

მიწისძვრა:

მიწისძვრის შედეგების მასშტაბიდან გამომდინარე უნდა მოხდეს:

- შენობაში ოთახების დალაგება-დასუფთავება, შენობიდან დაზიანებული მატერიალური ფასეულობების გამოტანა და გამოყოფილ ტერიტორიაზე შეგროვება;

- დაზიანებული ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მაგისტრალური კომუნიკაციების აღდგენა-შემოწმება შესაბამის კომუნალურ სამსახურებთან ერთად;
 - შენობის ვარგისიანობის შემოწმება შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებთან ერთად;
 - დაზიანებული შენობის და ასევე სხვა ტიპის ზარალის აღრიცხვა/შეფასება.
- (ღონისძიებების დეტალური აღწერილობისთვის იხილეთ **დანართი N 7.3**)

IV თავი

გეგმის დანართები

დანართის №	დანართის დასახელება
1	ბრძანება საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების და საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ
2	სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი
3	საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები და მათი ამოცანები
4	ფაზა I. პრევენცია/მიტიგაცია – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში
5	ფაზა II. მზადყოფნა – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით ყოველდღიური ფუნქციონირების რეჟიმში
6	ფაზა III. რეაგირება – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების, გაძლიერებული მზადყოფნისა და საგანგებო რეჟიმების მიხედვით
7	ფაზა IV. აღდგენა – დეტალური სამოქმედო გეგმა სცენარების მიხედვით საგანგებო რეჟიმში
8	საგანგებო შტაბის შეტყობინების სქემა
9	სახანძრო-სამაშველო ტექნიკა-აღჭურვილობის, ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნუსხა
10	რეაგირების ჯგუფების შემადგენლობა (სიები)
11	საევაკუაციო გეგმა
12	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების ორგანიზების მიზნით სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის (ქუთაისის ლოკაცია) საგანგებო შტაბის შექმნის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი ნაწილის, 53-ე მუხლის პირველი ნაწილის, 54-ე მუხლის პირველის ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის მე-5 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის (ქუთაისის ლოკაცია) საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის N..... ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ქუთაისის ლოკაცია) საგანგებო შტაბის (შემდგომში - საგანგებო შტაბი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) საგანგებო შტაბის უფროსი _____ (გვარი, სახელი, თანამდებობა)

ბ) საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში _____ (გვარი, სახელი, თანამდებობა)

გ) საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში. _____ (გვარი, სახელი, თანამდებობა)

დ) საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწე კავშირგაბმულობისა და შეტყობინების საკითხებში. _____ (გვარი, სახელი, თანამდებობა)

ე) სამედიცინო რეაგირების ჯგუფის უფროსი _____ (გვარი, სახელი, თანამდებობა)

ვ) სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი _____ (გვარი, სახელი, თანამდებობა)

ზ) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ჯგუფის უფროსი _____ (გვარი, სახელი, თანამდებობა)

2. დამტკიცდეს საგანგებო შტაბის წევრების თანდართული ფუნქციონალური მოვალეობები. 3. დამტკიცდეს თანდართული საგანგებო მართვის გეგმა.

4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების გადაცემა უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის (ქუთაისის ლოკაცია) დასაქმებული პირთათვის, წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლიდან 3 დღის განმავლობაში.

5. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

6. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

7. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მისამართზე - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64.

სახელმძღვანელო საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი

1. საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“;
2. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“;
3. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N309 დადგენილება „სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“;
4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის № 51 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე“;
5. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის N153 დადგენილება „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“;
6. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 4 ივნისის N154 დადგენილება „უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
7. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილება „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
8. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის № 452 დადგენილება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
9. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №453 დადგენილება „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“;
10. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 იანვრის №4 დადგენილება „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
11. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 ნოემბრის №577 დადგენილება „სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს მოხალისეთა წესდების დამტკიცების შესახებ“;
12. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 სექტემბრის N590 დადგენილება „ინციდენტისა და საგანგებო სიტუაციის კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“;
13. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის №48 დადგენილება „მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“.
14. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის ბრძანება №01-15/ნ „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე“

საგანგებო შტაბის წევრები, მათი საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქციები
და მათი ამოცანები

№	საგანგებო შტაბის წევრი (გვარი და სახელი) საკურატორო საგანგებო დახმარების ფუნქცია	ამოცანები (მოვალეობები)	საკონტაქტო ტელეფონი	შენიშვნა
1.	საგანგებო შტაბის უფროსი: ზვიად ბეშქენაძე	– საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნისა და რეაგირების, ასევე საგანგებო მართვის გეგმის შედგენა და მისი ამოქმედება საგანგებო სიტუაციების დროს; – მოსწავლეებისა და პერსონალისათვის საშიშროების შესახებ შეტყობინება და შესაბამისი ქმედებების ორგანიზება; – მართვის, კავშირგაბმულობისა და შეტყობინების ორგანიზება; – რეაგირების ფორმირების ჩამოყალიბება, მათი აღჭურვა და მომზადება; – ფორმირების ინდივიდუალური დაცვისათვის საჭირო აღჭურვილობით მომარაგება, მათი ექსპლუატაციისათვის მზადყოფნის უზრუნველყოფა, შენახვა და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებული გაცემა; – მოსწავლეებისა და პერსონალის დადგენილი წესის მიხედვით ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში; – საგანგებო სიტუაციების განვითარების შემთხვევაში სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების ჩატარება; – საგანგებო მართვის გეგმით გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციების პრევენციული და მზადყოფნის ღონისძიებების ორგანიზება.	577668497	
2.	საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში: ჯონი ბენდელიანი	ექვემდებარება საგანგებო შტაბის უფროსს. იგი ვალდებულია: – თანამშრომელთა, მატერიალურ ფასეულობათა, დოკუმენტების, უნიკალური მოწყობილობების, აპარატურის და სხვათა ევაკუაციისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება; – უნივერსიტეტის შენობაში (ცალ-ცალკე ყოველი სართულისათვის) და შენობის გარეთ თანამშრომელთა/მოსწავლეთა ევაკუაციის გეგმის შემუშავება; – ევაკუირებულთა აღრიცხვიანობის ორგანიზება; – ევაკუირებულთა პირველადი მოხმარების ნივთებით მომარაგების ორგანიზება. ევაკუაციის გამოცხადების შემთხვევაში, იგი ვალდებულია: – დროულად შეატყობინოს პერსონალს და მოსწავლეებს ევაკუაციის დაწყება; – მოხდეს პერსონალის და მოსწავლეების ევაკუაცია წინასწარ შერჩეული მარშრუტებით;	557711983	

		– ორგანიზება გაუკეთოს დანიშნულ დროში საევაკუაციო ჯგუფის წევრების გამოცხადებას შემკრებ პუნქტზე და მათი ანგარიშის მოსმენა – დროულად მოხდეს შტაბის უფროსისთვის ევაკუირებული პერსონალისა და მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;		
